ხელშეკრულება სახელმწიფო შესყიდვის შესახებ N 77

(სამუშაოს შესყიდვა)

ქალაქი ფოთი 13 ივნისი 2017 წელი

1. ხელშეკრულების მხარეები

1.1 ერთის მხრივ, ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტი - შემდეგში ,,შემსყიდველი", წარმოდგენილი ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტის მერის ირაკლი კაკულიას სახით და მეორეს, შპს ,,გელმარი" შემდეგში ,,მიმწოდებელი" (ელექტრონულ ტენდერში გამარჯვებული), წარმოდგენილი მისი დირექტორის გელა ვადაქარიას სახით - საქართველოს მოქმედი კანონმდებლობის, სატენდერო დოკუმენტაციისა და ელექტრონული ტენდერის ჩატარების შედეგად დებენ სახელმწიფო შესყიდვების შესახებ ხელშეკრულებას (შემდგომში ,,ხელშეკრულება").

2.ხელშეკრულების საგანი

2.1 შესყიდვის ობიექტი - **ქალაქის შემოსასვლელებში სიმბოლიკის კაპ. რემონტი** (შემდგომში – სამუშაო) ხელშეკრულების პირობების შესაბამისად.
2.2 სატენდერო განცხადების ნომერი - NAT170003922, 10.04.2017წ.
კლასიფიკატორის დანაყოფი - 45400000 - შენობის დასრულების სამუშაოები
კლასიფიკატორის (CPV) კოდი - 45450000 - შენობის მოწყობის სხვა სამუშაოები

3. ხელშეკრულების ღირებულება, სამუშაოს შესრულების ადგილი და ვადები

3.1 სამუშაოების ღირებულება შეადგენს - **7`127.20 (შვიდიათასასოცდაშვიდი ლარი და 20 თეთრი) ლარს, დღგ-ს ჩათვლით.**
3.1 სამუშაოს მოწოდების ადგილია: ქალაქი ფოთი, ქალაქ ფოთი, მალთაყვის უბანი და მე-7 კმ.
3.2 სამუშაოს მიწოდება უნდა განხორციელდეს ხელშეკრულების გაფორმებიდან 5 (ხუთი) კალენდარული დღის ვადაში და დასრულდეს 2017 წლის 10 ივლისის ჩათვლით.

4. სამუშაოს შესრულების პირობები

4.1 სამუშაოების (ან/და მისი ეტაპის) დასრულებისას მიმწოდებელი შემსყიდველს წარუდგენს შემდეგ დოკუმენტაციას: ფორმა N2, ფორმა N3 და მიღება - ჩაბარების აქტს.
4.2 4.1 პუნქტში აღნიშნული დოკუმენტაცია შემსყიდველს უნდა წარედგინოს დოკუმენტაციის ოფიცილაურად დადასტურებამდე 3 (სამი) სამუშაო დღით ადრე.
4.4 მიმწოდებელმა სამუშაოების დასრულების შემდეგ, თავისი ძალებითა და სახსრებით უნდა გაათავისუფლოს სამუშაო ადგილი სამშენებლო ნარჩენებისაგან.
4.5 შესყიდვის ობიექტი მიწოდებულად ჩაითვლება მხოლოდ კანონმდებლობით დადგენილი წესით განსაზღვრული მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმების შემდეგ, რომელიც დასტურდება მხარეების წარმომადგენლების (უფლებამოსილი პირების) ხელმოწერით.

5. ანგარიშსწორების პირობები და ვადები

5.1 წინასწარი გადახდის მექანიზმი არ გამოიყენება.
5.2 ანგარიშსწორება მოხდება უნაღდო ანგარიშსწორებით ლარებში (გადარიცხვა);
5.3 ეტაპობრივი ანგარიშსწორება მოხდება მხარეებს შორის, ფაქტიურად შესრულებული სამუშაოების შესაბამისად, გაფორმებული შუალედური მიღება-ჩაბარების აქტის თანახმად.
5.4 საბოლოო ანგარიშსწორება განხორციელდება სახელშეკრულებო ვადებში წარმოდგენილი, ფაქტიურად შესრულებული სამუშაოების კანონმდებლობით დადგენილი წესით განსაზღვრული მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმების შემდეგ, რომელიც დასტურდება მხარეების წარმომადგენლების (უფლებამოსილი პირების) ხელმოწერით.
5.5 მხარეები ანგარიშსწორებას ანხორციელებენ ეროვნულ ვალუტაში ამ ხელშეკრულებით გათვალისწინებული საბანკო რეკვიზიტების შესაბამისად.
5.6 ანგარიშსწორება განხორციელდება შესრულებული სამუშაოების შესაბამისად, გაფორმებული მიღება-ჩაბარების აქტზე შემსყიდველის მიერ ხელმოწერიდან 10 (ათი) სამუშაო დღის განმავლობაში.

6. ხელშეკრულების შესრულების კონტროლი

6.1. შემსყიდველი უფლებამოსილია სამუშაოების შესრულების პარალელურად მოახდინოს სამუშაოების შემოწმება მიმწოდებლის მიერ წარმოდგენილი ხარჯთაღრიცხვის შესაბამისად, რომლის მიზანია მათი შესაბამისობის დადგენა ხელშეკრულებითა და სატენდერო დოკუმენტაციით გათვალისწინებულ პირობებთან.
6.2. შემოწმების ან/და ვიზუალური დათვალიერების შედეგად გამოვლენილი ნებისმიერი ნაკლის ან დეფექტის შესახებ შემსყიდველი დაუყოვნებლივ წერილობით ან/და კომუნიკაციის თანამედროვე საშუალებით აცნობებს მიმწოდებელს ნაკლის ან დეფექტის მქონე სამუშაოების ან/და გამოყენებული მასალების შესაბამისი მიზეზების მითითებით.
6.3. გამოვლენილი დეფექტის ან ნაკლის აღმოფხვრასთან დაკავშირებული ხარჯების ანაზღაურება ეკისრება მიმწოდებელს, საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით.
6.4 შემსყიდველს უფლება აქვს განახორციელოს ტექნიკური ზედამხედველობა, მშენებლობის ნებისმიერ მომენტში შეამოწმოს გამოყენებული მასალებისა და სამუშაოების შესრულების ხარისხი. იმ შემთხვევაში, თუ ხარისხი არ აღმოჩნდება სამშენებლო ნორმებისა და სტანდარტების შესაბამისი, შემსყიდველი უფლებამოსილია შეაჩეროს სამშენებლო სამუშაოების წარმოება და აკრძალოს შეუსაბამო მასალების გამოყენება.
6.5 ხელშეკრულების პირობების შესრულების კონტროლის განხორციელება შესაძლებელია ხელშეკრულების შესრულების ნებისმიერ ეტაპზე. ხელშეკრულების შესრულების კონტროლს და ტექნიკურ ზედამხედველობას განახორციელებს შემსყიდველი ორგანიზაციის სტრუქტურული ერთეული ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტის მერიის მშენებლობის, ინფრასტრუქტურისა და ტრანსპორტის სამსახური.
6.7 ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტის მერიის მშენებლობის, ინფრასტრუქტურისა და ტრანსპორტის სამსახურის ხელმძღვანელმა ხელი მოაწეროს, ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტის სახელით დადებული სახელმწიფო შესყიდვების შესახებ ხელშეკრულების შესრულების მიღება-ჩაბარების აქტებსა და მასთან დაკავშირებულ დოკუმენტაციას.
6.8 სამსახურის უფროსის არყოფნის შემთხვევაში მიღება-ჩაბარების აქტებზე ხელი მოაწეროს სამსახურის უფროსის მოვალეობის შემსრულებელმა.

7. შესასრულებელი სამუშაოს საგარანტიო ვადა

7.1 მიმწოდებელი იძლევა გარანტიას, სამუშაოები შეასრულოს ჯეროვნად, შემსყიდველის სატენდერო დოკუმენტაციის, მოქმედი სამშენებლო ნორმებისა და წესების შესაბამისად. შემსყიდველი ორგანიზაციასთან წინასწარი შეთანხმების გარეშე, სატენდერო დოკუმენტაციის პირობების დარღვევის ან/და გადახვევის შემთხვევაში, შემსყიდველი უფლებამოსილია არ მიიღოს სამუშაო ან/და მიმწოდებლის მიმართ გამოიყენოს ხელშეკრულებითა და საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული პასუხიმგებლობის ზომები.

7.2 შესასრულებელი სამუშაოს საგარანტიო ვადა განისაზღვრება საბოლოო მიღება - ჩაბარების აქტის გაფორმებიდან 1 (ერთი) წლის განმავლობაში.

7.2.1 იმ შემთხვევაში თუ საგარანტიო პერიოდის ვადის გასვლამდე გამოვლინდა რაიმე ხარვეზი მიმწოდბელი ვალდებულია წუნის აღმოჩენის შემთხვევაში, თუ დადგინდება რომ აღნიშნული წუნი (ნაკლოვანებები, დეფექტი) გამოწვეულია უხარისხო ან/და არაჯეროვანი შესრულებით, აღმოფხვრას საკუთარი ხარჯებით.

7.3 საგარანტიო ვადის განმავლობაში მიმწოდებელი ვალდებულია შემსყიდველის მიმართვის შემდეგ არაუგვიანეს 30 (ოცდაათი) დღეში საკუთარი ხარჯებით უზრუნველყოს ექსპლუატაციის პროცესში მიმწოდებლის მიზეზით წარმოქმნილი ხარვეზების აღმოფხვრა.

7.4 თუ მიმწოდებელი საგარანტიო ვადის განმავლობაში საკუთარი ხარჯებით ვერ უზრუნველყოფს ექსპლუატაციის პროცესში წარმოქმნილი ხარვეზების აღმოფხვრას, შემსყიდველი უფლებამოსილია გაფრთხილებიდან 30 (ოცდაათი) დღის ამოწურვის შემდეგ მიმართოს სასამართლოს მიყენებული ზიანის ასანაზღაურებლად.

8. ხელშეკრულებაში ცვლილების შეტანა და ხელშეკრულების შეწყვეტა

8.1 ცვლილება ხელშეკრულების პირობებში არ დაიშვება, ორივე მხარის მიერ ხელმოწერილი წერილობითი შესწორების გარდა, მხარეთა შეთანხმების საფუძველზე.

8.2 თუ რაიმე წინასწარ გაუთვალისწინებელი მიზეზის გამო წარმოიშობა ხელშეკრულების პირობების შეცვლის აუცილებლობა, ცვლილებების შეტანის ინიციატორი მხარე ვალდებულია წერილობით შეატყობინოს მეორე მხარეს ამის თაობაზე შესაბამისი მიზეზების მითითებით. ხელშეკრულების ნებისმიერი ცვლილება უნდა გაფორმდეს ხელშეკრულების დანართის სახით, რომელიც ჩაითვლება ხელშეკრულების განუყოფელ ნაწილად.

8.3 ხელშეკრულების პირობების, მათ შორის, ფასის შეცვლა დაუშვებელია, თუ ამ ცვლილებების შედეგად იზრდება ხელშეკრულების ჯამური ღირებულება ან უარესდება ხელშეკრულების პირობები შემსყიდველისთვის, გარდა საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398-ე მუხლით გათვალისწინებული შემთხვევებისა. ხელშეკრულების პირობების გადასინჯვა ხდება საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით.

8.4 საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398–ე მუხლით გათვალისწინებულ შემთხვევაში, ხელშეკრულების ჯამური ღირებულების გაზრდა დაუშვებელია ხელშეკრულების თავდაპირველი ღირებულების 10%–ზე მეტი ოდენობით.

8.5 ხელშეკრულების ერთ-ერთი მხარის მიერ ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობის შემთხვევაში მეორე მხარე უფლებამოსილია ცალმხრივად მიიღოს გადაწყვეტილება ხელშეკრულების შეწყვეტის შესახებ.

8.6 მხარე ვალდებულია ხელშეკრულების შეწყვეტის თაობაზე, გადაწყვეტილების მიღების განზრახვის შესახებ, არანაკლებ 5 კალენდარული დღით ადრე წერილობით ან კომუნიკაციის ელექტრონული საშუალებების გამოყენებით შეატყობინოს მეორე მხარეს.

8.7 ხელშეკრულება ასევე შეიძლება შეწყდეს მხარეთა ინიციატივით, ურთიერთშეთანხმების საფუძველზე.

8.8 ხელშეკრულების ცალკეული პირობების მოქმედების შეწყვეტა არ ათავისუფლებს მხარეებს დანარჩენი ვალდებულებების შესრულებისაგან.

9. დაუძლეველი ძალა

9.1. მხარეები თავისუფლდებიან ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვალდებულებების შეუსრულებლობით გამოწვეული პასუხისმგებლობისაგან, თუ აღნიშნული გამოწვეულია დაუძლეველი ძალის ზეგავლენით. აღნიშნულის არსებობის შემთხვევაში, მხარე ვალდებულია აცნობოს მეორე მხარეს ნაკისრი ვალდებულებების შესრულების შეუძლებლობის შესახებ.
9.2. თუ ერთ–ერთი მხარე დაუძლეველი ძალის გამო ვერ ასრულებს ნაკისრ ვალდებულებებს, იგი ვალდებულია დაუყოვნებლივ, მაგრამ არაუგვიანეს მომდევნო კალენდარული დღისა აცნობოს მეორე მხარეს მათი დადგომის ან/და დასრულების შესახებ. წინააღმდეგ შემთხვევაში, შესაბამისი მხარე არ გათავისუფლდება ნაკისრი ვალდებულებების შესრულებისაგან.
9.3. მხარეთა პასუხისმგებლობა და ვალდებულებები განახლდება დაუძლეველი ძალის მოქმედების დასრულებისთანავე.

10. ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობა

10.1 ხელშეკრულების პირობების არაჯეროვანი შესრულებისათვის (მათ შორის, ვალდებულების შესრულების ვადაგადაცილების დროს) მიმწოდებელს დაეკისრება პირგასამტეხლო ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე შესასრულებელი ვალდებულების შესაბამისი ღირებულების 0.02%-ის ოდენობით;

11. მხარეთა უფლება-მოვალეობები

11.1. შემსყიდველი და მიმწოდებელი მოქმედებენ საქართველოს კანონმდებლობის სრული დაცვით.
11.2. შემსყიდველი ვალდებულია:
11.2.1. დროულად და კეთილსინდისიერად შეასრულოს ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებები;
11.2.2. ხელშეკრულებით გათვალისწინებული სამუშაოების შესრულებისას საქმის კურსში ჩააყენოს მიმწოდებელი ყველა განსაკუთრებული გარემოებების წარმოშობის შესახებ;
11.2.3. ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობების შესაბამისად აუნაზღაუროს მიმწოდებელს შესრულებული სამუშაოების ღირებულება;
11.2.4. წერილობითი ფორმით დაუყოვნებლივ აცნობოს მიმწოდებელს რაიმე დეფექტის ან ნაკლის აღმოჩენის შესახებ.
11.3. შემსყიდველს უფლება აქვს:
11.3.1. განახორციელოს კონტროლი და ზედამხედველობა მიმწოდებლის მიერ ხელშეკრულებების პირობების დაცვაზე;
11.3.2. განახორციელოს შესრულებული სამუშაოების ტექნიკური ზედამხედველობა და შეამოწმოს მათი შესაბამისობა საქართველოში მოქმედი სამშენებლო ნორმებისა და წესებში გათვალისწინებული ხარისხის კრიტერიუმების, ტექნიკური სპეციფიკაციების, მოქმედი სტანდარტების, სატენდერო დოკუმენტაციისა და მიმწოდებლის მიერ წარმოდგენილი სატენდერო წინადადების გათვალისწინებით;
11.3.3. ხელი მოაწეროს სამუშაოების მიღება-ჩაბარების აქტებს;
11.3.4. მიმწოდებლისაგან მოითხოვოს სამუშაოების წარმოებასთან დაკავშირებული დამატებითი ინფორმაცია და დოკუმენტაცია.
11.3.5 „მიმწოდებელის“ მიერ ხელშეკრულებით გათვალისწინებულ პირობათა შეუსრულებლობის შემთხვევაში გამოიყენოს გაფრთხილება, ჯარიმა და ასევე ცალმხრივად შეწყვიტოს ხელშეკრულება;

11.4. მიმწოდებელი ვალდებულია:
11.4.1 სამუშაოების შესრულების პერიოდში ობიექტზე იქონიოს მშენებლობაში გამოსაყენებელი ინსტრუმენტები ტექნიკურად გამართულ მდგომარეობაში).
11.4.2 სამუშაოების (ან/და მისი ეტაპის) დასრულებისას შემსყიდველს წარუდგინოს შემდეგი დოკუმენტაცია: ფორმა N2, ფორმა N3, ფარული სამუშაოებისა და მიღება - ჩაბარების აქტი.
11.4.3 11.4.2 პუნქტში აღნიშნული დოკუმენტაცია შემსყიდველს უნდა წარედგინოს დოკუმენტაციის ოფიციალურად დადასტურებამდე 3 (სამი) სამუშაო დღით ადრე.
11.4.4 სამუშაოები შეასრულოს ჯეროვნად, შემსყიდველის სატენდერო დოკუმენტაციის, მოქმედი სამშენებლო ნორმებისა და წესების შესაბამისად.
11.4.5 შემსყიდველი ორგანიზაციასთან წინასწარი შეთანხმების გარეშე, სატენდერო დოკუმენტაციის პირობების დარღვევის ან/და გადახვევის შემთხვავაში, შემსყიდველი უფლებამოსილია არ მიიღოს სამუშაო ან/და მიმწოდებლის მიმართ გამოიყენოს ხელშეკრულებითა და საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული პასუხიმგებლობის ზომები.
11.4.6 დაუყოვნებლივ აცნობოს „შემსყიდველს" ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვალდებულებების შესრულების შეუძლებლობისა ან/და ხელისშემშლელ დაბრკოლებათა შესახებ;
11.4.7 ხელშეკრულების შესრულების პერიოდში ქვეკონტრაქტების დადების აუცილებლობის წარმოშობის შემთხვევაში, წერილობით აცნობოს „შემსყიდველს" შესაბამისი თანხმობის მისაღებად. შემსყიდველი უფლებამოსილია არგუმენტირებული უარი განაცხადოს მიმწოდებლის მიერ შესაბამისი ქვეკონტრაქტის დადებაზე.
მიმწოდებელმა სამუშაოების განხორციელების პროცესში უნდა მიიღოს აუცილებელი ზომები ტექნიკური უსაფრთხოების და გარემოს დაცვის უზრუნველსაყოფად;
11.4.8 ნებისმიერ დროს, წინასწარი შეტყობინების გარეშე დაუშვას შემსყიდველი და მისი წარმომადგენლები სამუშაო მოედნებზე;

12. სადავო საკითხების გადაწყვეტა

12.1. ხელშეკრულების შესრულებისას მხარეთა შორის წამოჭრილი დავები შესაძლებელია გადაწყვეტილ იქნას ორივე მხარის ერთობლივი მოლაპარაკების საფუძველზე;
12.2. თუ მხარეები 15 (თხუთმეტი) კალენდარული დღის განმავლობაში ვერ მიაღწევენ შეთანხმებას, მხარეებს უფლება აქვთ მიმართონ სასამართლოს საქართველოში მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.

13. სხვა პირობები

13.1 ხელშეკრულება შედგენილია ქართულ ენაზე, სამ ეგზემპლარად, რომელთაგან თითოეულს აქვს თანაბარი იურიდიული ძალა და ინახება ხელმომწერ მხარეებთან ერთი – მიმწოდებელთან, ორი - შემსყიდველთან. ხელშეკრულებასთან დაკავშირებული ნებისმიერი მიმოწერა შესრულებული უნდა იყოს ქართულ ენაზე.
13.2 გამარჯვებული პრეტენდენტის მიერ წარმოდგენილი სატენდერო წინადადება და დანართები თან ერთვის ხელშეკრულებას და წარმოადგენს მის განუყოფელ ნაწილს.
31.3 წინამდებარე ხელშეკრულების ნებისმიერი ცვლილება ან დამატება ძალაშია მხოლოდ მას შემდეგ, რაც ის წერილობითი ფორმითაა შედგენილი და ხელმოწერილია მხარეთა მიერ.
13.4 აღნიშნული ხელშეკრულებით გაუთვალისწინებული საკითხები რეგულირდება მოქმედი კანონმდებლობით და შემსყიდველის მიერ დამტკიცებული სატენდერო დოკუმენტაციით.

14. ხელშეკრულების კონკრეტული მოქმედების ვადა

14.1 ხელშეკრულების კონკრეტული მოქმედების ვადა განისაზღვრება, ხელშეკრულების ხელის მოწერის დღიდან და მოქმედებს 2017 წლის 31აგვისტოს ჩათვლით.

15. მხარეთა იურიდიული მისამართი და რეკვიზიტი

„შემსყიდველი”	„მიმწოდებელი”
ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტი ს/კ 215138143 მის: ქ. ფოთი, დ. აღმაშენებლის ქ. №12	შპს „გელმარი" ს/კ 215108087 მის: ფოთი, პირტახიას ქუჩა N33 სს „ვი-თი-ბი ბანკი ჯორჯია" ბ/კ UGEBGE22 ა/ნ GE92VT0600000005303605
----------	----------
ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტის მერი ირაკლი კაკულია	გელა ვადაქარია დირექტორი

ქალაქ ფოთში შემოსასვლელებში
სიმბოლიკების კაპ.შეკეთება

კრებსითი ანგარიში

№	სამუშაოს დასახელება	ღირებულება დღგ-ს გარეშე	შენიშვნა
1	2	3	4
1	სამშენებლო სამუშაოები ლოტი №1	**2994,00**	
2	ელექტრო-სამონტაჟო სამუშაოები ლოტი №2	**3046,00**	
	სულ	**6040,00**	

„შემსყიდველი"

ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტი

ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტის მერი
ირაკლი კაკულია

„მიმწოდებელი"

შპს „გელმარი"

გელა გადაქარია
დირექტორი

ქალაქ ფოთში შემოსასვლელებში სიმბოლიკების კაპ.შეკეთება

სამშენებლო სამუშაოები

ხარჯთაღრიცხვა N1

№	სამუშაოს დასახელება	გან. ერთ.	რაოდენობა	ერთ. ღირებ.	მთლიანი ღირებ.
1	2	3	4	5	6
	თავი №1 - მალთაყვის უბანი				
1	სიმბოლიკის ირგვლივ ბაზალტის ბორდიურის მოწყობა 15სმX30სმ	გრძ.მ	15,20		**653,90**
	შრომის დანახარჯი	კ/სთ	16,86	4	67,44
	ბაზალტის ბორდიურის მოწყობა 15სმX30სმ	გრძ.მ	15,20	30	456,00
	ბეტონი მ200	მ3	0,90	120	108,00
	ბაზალტის ბორდიურის ტრანსპორტირება	ტნ	1,37	10	13,70
	სხვა მასალები	მან	1,46	6	8,76
2	ბორდიურსა და სიმბოლიკას შორის ადგილის შევსება ქვიშით	მ3	3,00		**97,26**
	შრომის დანახარჯი	კ/სთ	5,34	4	21,36
	ქვიშა	მ3	3,30	7	23,10
	ქვიშის ტრანსპორტირება	ტნ	5,28	10	52,80
3	სიმბოლიკის ირგვლივ ბაზალტის 3სმ სისქის ფილებით მოპირკეთება	მ2	12,40		**556,42**
	შრომის დანახარჯი	კ/სთ	53,27	4	213,08
	ბაზალტის ფილა სისქით 3სმ	მ2	12,52	25	313,00
	ქვიშა-ცემენტის ხსნარი	მ3	0,262	80	20,96
	ბაზალტის ფილების ტრანსპორტირება	ტნ	0,59	10	5,90
	სხვა მასალები	მან	0,58	6	3,48
	ჯამი				**1307,58**
	შრომითი რესურსები				**0,00**
	ზედნადები ხარჯები		8%		**104,61**
	ჯამი				**1412,19**
	გეგმიური დაგროვება		6%		**84,73**
	სულ თავი 1				**1496,92**
	თავი №2 - მე-7 კილომეტრი				
1	სიმბოლიკის ირგვლივ ბაზალტის ბორდიურის მოწყობა 15სმX30სმ	გრძ.მ	15,20		**653,90**

	შრომის დანახარჯი	კ/სთ	16,86	4	67,44
	ბაზალტის ბორდიურის მოწყობა 15სმX30სმ	გრძ.მ	15,20	30	456,00
	ბეტონი მ200	მ3	0,90	120	108,00
	ბაზალტის ბორდიურის ტრანსპორტირება	ტნ	1,37	10	13,70
	სხვა მასალები	მან	1,46	6	8,76
2	ბორდიურსა და სიმბოლიკას შორის ადგილის შევსება ქვიშით	მ3	3,00		**97,26**
	შრომის დანახარჯი	კ/სთ	5,34	4	21,36
	ქვიშა	მ3	3,30	7	23,10
	ქვიშის ტრანსპორტირება	ტნ	5,28	10	52,80
3	სიმბოლიკის ირგვლივ ბაზალტის 3სმ სისქის ფილებით მოპირკეთება	მ2	12,40		**556,42**
	შრომის დანახარჯი	კ/სთ	53,27	4	213,08
	ბაზალტის ფილა სისქით 3სმ	მ2	12,52	25	313,00
	ქვიშა-ცემენტის ხსნარი	მ3	0,262	80	20,96
	ბაზალტის ფილების ტრანსპორტირება	ტნ	0,59	10	5,90
	სხვა მასალები	მან	0,58	6	3,48
	ჯამი				**1307,58**
	ზედნადები ხარჯები		8%		**104,61**
	ჯამი				**1412,19**
	გეგმიური დაგროვება		6%		**84,73**
	სულ თავი 2				**1496,92**
	სულ ხარჯთაღრიცხვით (ჯამი თავი 1-2)				**2994**

„შემსყიდველი"

ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტი

ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტის მერი
ირაკლი კაკულია

„მიმწოდებელი"

შპს „გელმარი"

გელა ვადაქარია
დირექტორი

ქალაქ ფოთში შემოსასვლელებში
სიმბოლიკების კაპ.შეკეთება

ელექტრო-სამონტაჟო სამუშაოები

ხარჯთაღრიცხვა N2

№	სამუშაოს დასახელება	განზ. ერთ.	რაოდენობა	ერთ. ღირებ.	მთლ. ღირებ.
1	3	4	5	6	7
	ა) მალთაყვის უბანი				
	I. სამონტაჟო სამუშაოები				
1	გოფრირებული 25მმ შლანგის მონტაჟი	გრძ.მ	85		**34,00**
	შრ. დანახარჯი	კ/სთ	8,50	4,00	34,00
2	გოფრირებულ შლანგში ალუმინის 2X6მმ2 კაბელის გატარება	გრძ.მ	90		**50,04**
	შრ. დანახარჯი	კ/სთ	12,51	4,00	50,04
3	დიოდურ-ლენტური სანათის მონტაჟი	გრძ.მ	60		**33,20**
	შრ. დანახარჯი	კ/სთ	8,30	4,00	33,20
4	ფოტო რელეს მონტაჟი	ცალი	1		**4,00**
	შრ. დანახარჯი	კ/სთ	1,00	4,00	4,00
5	დენის გადამყვანის მონტაჟი 220/12ვტ 100ა	ცალი	2		**8,00**
	შრ. დანახარჯი	კ/სთ	2,00	4,00	8,00
6	დიოდური პროჟექტორის მონტაჟი 20ვტ	ცალი	4		**10,08**
	შრ. დანახარჯი	კ/სთ	2,52	4,00	10,08
	ჯამი				**139,32**
	ზედნადები ხარჯები ხელფასის		**75%**		**104,49**
	ჯამი				**243,81**
	გეგმიური დაგროვება		**6%**		**14,63**
	ჯამი თავი I				**258,44**
	თავი II. განფასებით გაუთვალისწინებელი მასალები				
1	25მმ გოფრირებული შლანგი	ცალი	85,0	1,00	**85,00**
2	ალუმინის ელ. კაბელი 2X6მმ2	გრძ.მ	90,0	0,60	**54,00**
3	დიოდურ-ლენტური სანათი	გრძ.მ	60,0	5,00	**300,00**
4	ფოტო რელე	ცალი	1,0	7,50	**7,50**
5	დენის გადამყვანი 220/12ვტ 100ა	ცალი	2,0	151,00	**302,00**

6	დიოდური პროჟექტორი 20ვტ	ცალი	4,0	21,00	**84,00**
	ჯამი				**832,50**
	გეგმიური დაგროვება		**6%**		**49,95**
	ჯამი თავი II				**882,45**
	თავი III. სამშენებლო სამუშაოები				
1	გრუნტის დამუშავება ტრანშეაში ხელით კაბელის მოსაწყობად .	მ3	11,90		**73,32**
	შრომის დანახარჯი	კ/სთ	18,33	4,00	73,32
2	გრუნტის უკუჩაყრა	მ3	11,90		**47,28**
	შრომის დანახარჯი	კ/სთ	11,82	4,00	47,28
	ჯამი				**120,60**
	ზედნადები ხარჯები		**8%**		9,65
	ჯამი				**130,25**
	გეგმიური დაგროვება		**6%**		**7,81**
	ჯამი თავი III				**138,06**
	სულ ა თავი (I,II,III თავის ჯამი)				**1278,95**
	ბ) მეშვიდე კილომეტრი				
	I. სამონტაჟო სამუშაოები				
1	გოფრირებული 25მმ შლანგის მონტაჟი	გრძ.მ	80,00		**32,00**
	შრ. დანახარჯი	კ/სთ	8,00	4,00	32,00
2	ალუმინის 2X6მმ2 კაბელის მონტაჟი	გრძ.მ	250,00		**139,00**
	შრ. დანახარჯი	კ/სთ	34,75	4,00	139,00
3	დიოდურ-ლენტური სანათის მონტაჟი	გრძ.მ	60,00		**33,20**
	შრ. დანახარჯი	კ/სთ	8,30	4,00	33,20
4	დენის გადამყვანის მონტაჟი 220/12ვტ 100ა	ცალი	2,00		**8,00**
	შრ. დანახარჯი	კ/სთ	2,00	4,00	8,00
5	დიოდური პროჟექტორის მონტაჟი 20ვტ	ცალი	4,00		**10,08**
	შრ. დანახარჯი	კ/სთ	2,52	4,00	10,08
6	თვითმზიდი კაბელის მონტაჟი 2X16მმ2	გრძ.მ	110,00		**69,96**
	შრ. დანახარჯი	კ/სთ	15,29	4,00	61,16
	ანძური ამწევი	მ/სთ	2,20	4,00	8,80
	ჯამი				**292,24**
	ზედნადები ხარჯები ხელფასის		**75%**		**219,18**
	ჯამი				**511,42**
	გეგმიური დაგროვება		**6%**		**30,69**
	ჯამი თავი I				**542,11**

	თავი II. განფასებით გაუთვალისწინებელი მასალები				
1	25მმ გოფრირებული შლანგი	ცალი	80,00	1,00	**80,00**
2	ალუმინის ელ. კაბელი 2X6მმ2	გრძ.მ	250,00	0,60	**150,00**
3	დიოდურ-ლენტური სანათი	გრძ.მ	60,00	5,00	**300,00**
4	დენის გადამყვანი 220/12ვტ 100ა	ცალი	2,00	151,00	**302,00**
5	დიოდური პროჟექტორი 20ვტ	ცალი	4,00	21,00	**84,00**
6	თვითმზიდი კაბელი 2X16მმ2	გრძ.მ	110,00	1,00	**110,00**
	ჯამი				**1026,00**
	გეგმიური დაგროვება		**6%**		**61,56**
	ჯამი თავი II				**1087,56**
	თავი III. სამშენებლო სამუშაოები				
1	გრუნტის დამუშავება ტრანშეაში ხელით კაბელის მოსაწყობად	მ3	11,90		**73,32**
	შრომის დანახარჯი	კ/სთ	18,33	4	73,32
2	გრუნტის უკუჩაყრა	მ3	11,90		**47,28**
	შრომის დანახარჯი	კ/სთ	11,82	4	47,28
	ჯამი				**120,60**
	ზედნადები ხარჯები		**8%**		9,65
	ჯამი				**130,25**
	გეგმიური დაგროვება		**6%**		**7,81**
	ჯამი თავი III				**138,06**
	სულ ბ თავი (I,II,III თავის ჯამი)				**1767,73**
	სულ ხარჯთაღრიცხვით (ჯამი თავი ა-ბ)				**3046**

„შემსყიდველი"

ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტი

ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტის მერი
ირაკლი კაკულია

„მიმწოდებელი"

შპს „გელმარი"

გელა ვადაქარია
დირექტორი